ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/3163-17

"24" 11 2017 წ.

დადგენილება №001169
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

24.11.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2017 წლის 20 ნოემბრის №001169 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი №400199469, დირ. ლაშა კანდელაკიშვილი, პირადი №40001006991, მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №17) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17, საკ. კოდი №01.11.05.034.011-ში შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ის მიერ განხორციელებულია სამშენებლო /სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ, არსებულ შენობაზე განხორციელებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოები -

წინა ფასადი:

1. დამატებით მოწყობილია I სართულზე ასავლელი პანდუსი ლითონის მოაჯირით.
2. დამატებით მოწყობილ პანდუსთან სარდაფში დამატებულია ფრამუგა.
3. ცენტრალურ შესასვლელთან მოწყობილია გარე კიბე და საყვავილეები.
4. ცენტრალურ შესასვლელთან I სართულზე ერთი კარის და ორი ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები ორი ორფრთიანი კარით.
5. ცენტრალურ შესასვლელთან, II, III, IV და V სართულებზე ორკარიანის ნაცვლად მოწყობილია ერთკარიანი ვიტრაჟები და შეცვლილია მათი ვიზუალური ფორმები.
6. ლოჯიებზე, გვერდით კედლებზე გაუქმებულია ფრამუგები.
7. ხუთივე სართულზე შეცვლილია კედლის მდებარეობა და შემცირებულია ლოჯიების ფართობი.
8. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია ევროპის უნივერსიტეტის ლოგო.
9. შეცვლილია სარდაფში ჩასასვლელი პანდუსის მდებარეობა.
10. სარდაფში პანდუსთან გაზრდილია ღიობის ზომა.

გვერდითი ფასადი (სარაჯიშვილის ქუჩის მხარეს):

11. შეცვლილია გარე კიბის მარშის მიმართულება, საფეხურების რაოდენობა და ზომა. ასევე შეცვლილია ბაქნის ზომა.

12. ხუთივე სართულზე შეცვლილია კედლების კონფიგურაცია და დამატებით მოწყობილია ლოჯიები. აქედან II, III, IV და V სართულებზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები.

13. პირველ სართულზე კარის ნაცვლად მოწყობილია კარიანი ვიტრაჟი და შეცვლილია მისი ზომა, ხოლო დანარჩენ სართულებზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარიანი ვიტრაჟები.

უკანა ფასადი:

14. სარდაფის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობები.

15. პირველ სართულზე შიდა კიბის უჯრედში დამატებით მოწყობილია ფანჯარა.

16. შეცვლილია პირველ სართულზე ასავლელი გარე კიბის საფეხურების რაოდენობა.

17. პირველ სართულზე ასავლელ კიბესთან კარის ნაცვლად მოწყობილია კარიანი ვიტრაჟები და გაზრდილია მისი ზომა.

გვერდითი ფასადი (ილორის ქუჩის მხარეს):

18. დემონტირებულია გარე კიბე და შეცვლილია ბაქნის კედლების კონფიგურაცია.

19. სარდაფის კედელზე მოწყობილია ღიობი.

20. პირველ სართულზე კარის ნაცვლად მოწყობილია კარიანი ვიტრაჟები და გაზრდილია მისი ზომა.

21. პირველ სართულზე დამატებით მოწყობილია ორი ფანჯარა.

22. II და III სართულებზე გაუქმებულია რვა ფანჯარა.

23. II, III, IV და V სართულებზე, ფასადის შუა ნაწილში შეცვლილია კედლების კონფიგურაცია და დამატებით მოწყობილია ლოჯიები. აქვე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარიანი ვიტრაჟები. და დამატებულია ლითონის მოაჯირები.

24. ფასადზე მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და სავენტილაციო მილების სისტემები.

შენობის შიდა სივრცეში:

25. შიდა კიბეების მარშემზე შეცვლილია საფეხურების რაოდენობა.

ეზო:

26. ტერიტორიაზე მოწყობილია ქვაფენილით მოპირკეთება.

ასევე დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **№3315457 AR1508616 12.06.2017წ. გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნები (ფოტომონტაჟი):**

1. შეცვლილია ღობის ცოკოლის და ლითონის ნაწილის ვიზუალური ფორმა და ნაწილობრივ მათი ზომები.

2. არ არის მოწყობილი კაპიტალური კოლონების ნაწილი.

3. ღობეზე დამატებით მოწყობილია ლითონის კარი.

4. ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

2017 წლის 20 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001169 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01172091527-17 28.07.2017წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; სამსახურის აზომვითი ნახაზი 13.11.2017წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17, საკ. კოდი №01.11.05.034.011-ში შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ის მიერ განხორციელებულია სამშენებლო /სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ, არსებულ შენობაზე განხორციელებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3315457 AR1508616 12.06.2017წ. გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნები (ფოტომონტაჟი).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი" დაჯარიმდეს 10000 (ათიათასი) ლარით ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17, საკ. კოდი №01.11.05.034.011-ში უნებართვოდ სამშენებლო / სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისათვის, რომლის ნაწილიც გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

2. შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17, საკ. კოდი №01.11.05.034.011-ში უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო / სარეკონსტრუქციო სამუშაოების დემონტაჟი;

3. შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადახდო დავალება

Payment Order

\# 1524568631 GEL ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 24/04/2018

რეფერენსი / Ref. Num.	2014916642
თანხა / Amount	10,000.00 GEL
თანხა სიტყვიერად / Amount in words	ათი ათასი ლარი და 00 თეთრი
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი / Document submission/receiving date	24/04/2018

გადამხდელი / Sender

შპს ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი, 400199469

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE55TB7604236020100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: *სს თიბისი ბანკი*

ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *შპს ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი, 400199469*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 400199469

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code: 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 001169, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა

Signature

დამოწმებულია ინტერნეტ ბანკით

თიბისი ბანკი TBC BANK

PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები

Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.